საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. **პროგრამის სახელწოდება:** საერთაშორისო ურთიერთობები International Relations

2. კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

3. პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

4. სწავლების ენა: ქართული

5. საბაკალავრო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა:
· შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებების და თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესახებ
· შეიძინოს ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის, ევროპათმცოდნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოების და რეგიონული კვლევებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში
· შეისწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული უახლესი მიმდინარეობები
· მიიღოს კომპლექსური ცოდნა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, გლობალური და რეგიონალური პროცესების შესახებ
· მოახდინოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ძირეული პრობლემების გააზრება და განზოგადება. ასევე ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგება
· დაეუფლოს საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს
· შეისწავლოს ინგლისური და მეორე უცხო ენა უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე
- შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი (ხელმძღვანელობის ქვეშ), რომელშიც შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ პრობლემებს მიუსადაგოს პროგრამის გავლის შემდეგ მიღებული თეორიული ცოდნა.

6. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები.**

7. სწავლის შედეგი :

პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი უნდა ფლობდეს სიღრმისეულ ცოდნას საერთაშორისო ურთერთობების თეორიებისა და კვლევის მეთოდებში, საბაზისო კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს, უნდა ჰქონდეს პრობლემის დასმის, მისი კომპლექსურად შესწავლის და გადაჭრის საჭირო რესურსების მოძიების, ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის, საკითხისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი. ბაკალავრს ასევე უნდა შეეძლოს ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევით პროექტებში როგორც რიგითი მკვლევარი და ხარისხიანად აწარმოოს კვლევის თავისი ნაწილი არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით; სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, შეიმუშაოს და განახორციელო საკუთარი კვლევითი პროექტი.

ა) ცოდნა და გაცნობიერება:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული და სიღრმისეული ცოდნა. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

. საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებები და თეორიები

. შეიძენს ცოდნას საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, ევროპათმცოდნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოების და რეგიონული კვლევების სფეროებში

. ექნება უნარი გაანალიზოს ყველა ის ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების პროცესზე და ინსტიტუტებზე

. სტუდენტს ჩამოუყალიბდება კომპლექსური წარმოდგენა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე

. გააანალიზებს სახელმწიფოს პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში

. გააცნობიერებს გლობალიზაციის, რეგიონალიზაციისა და ინტეგრაციის როლს მნიშვნელობას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. საჭირო რესურსებით ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა. ბაკალავრს უნდა შეეძლოს კვლევითი საქმიანობის წარმართვა ხარისხიანად ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, რაც მას საშუალებას მისცემს წარმატებით გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობას. ამისთვის მას უნდა გააჩნდეს:

. სიღმისეული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობებსა და კვლევის მეთოდებში

. კარგად ერკვეოდეს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ ძირითად ცნებებსა და ტერმინოლოგიაში

. სტუდენტს უნდა გააჩნდეს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებში ორიენტაციის უნარი

. შეეძლოს საერთაშორისო პროცესებში წარმოქმნილი სიტუაციისა და ვითარების შეფასება და ჰქონდეს საკუთარი არგუმენტირებული თვალსაზრისის გამომუშავების უნარი

გ) დასკვნის უნარი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- აბსტრაქტული აზროვნება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ძირითადი პრობლემის იდენტფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება;
- პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება;
- ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტირება;
- ახალი ინფორმაციის განზოგადება;
- შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
- გადაწყვეტილების მიღებისათვის მომზადება;
- არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ოპერატიულ ან ტაქტიკურ დონეზე;
- შეთავაზებული გადაწყვეტილების დაცვა;
- განსახორციელებელი ღონისძიების შემუშავება და სამოქმედო გეგმის პროცედურის აღწერა;
- ხელმძღვანელობისათვის სამოქმედო გეგმის შეთავაზება.

დ) კომუნიკაციის უნარი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა ქართულ და უცხოურ (პირველ რიგში ინგლისურ) ენაზე;
- საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება;
- ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- ახალ სიტუაციაში ადაპტირება;
- საკუთარი მოსაზრებების გამოხტვა და დაცვა;
- ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა;

- სოციალური ინტერაქცია და კოოპერაცია;
- სხვა სფეროს ექსპერტებთან კომუნიკაცია და კამათი;
- პროფესიულ მოლაპარაკებასა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.

ე) **სწავლის უნარი:**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
- შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება;
- სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობა;
- ცოდნის რეგულარულად განახლება დარგობრივი ლიტერატურის კითხვით.

ვ) **ღირებულებები:**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი ღირებულებები:

- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
- ეთიკური ნორმებისა და ეროვნული ინტერესების დაცვა;
- სოციალური, სახელმწიფო და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
- თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული პრობლემების გათავისება და დემონსტრირება;
- ადამიანთა მოტივაციისა და საერთო მიზნების მისაღწევად მათი ორგანიზება.

8. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრქტიკული და სამუშაო ჯგუფები, პრეზენტაციები და სხვა აქტიური მეთოდები. სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით.

სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება სამუშაო ჯგუფში და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. პრაქტიკული მეცადინეობისა და სამუშაო ჯგუფის დანიშნულებაა სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრეა, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, პრაქტიკული მეთოდები და სხვა. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა100-დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი
81-90	ძალიან კარგი
71-80	კარგი
61-70	დამაკმაყოფილებელი
51-60	საკმარისი
41-50	ვერ ჩაბარა, სტუდენტს უფლება ეძლევა გავიდეს დამატებით გამოცდაზე.
0-40	ჩაიჭრა, სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ გაიაროს სასწავლო კურსი.

დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% მაინც.

10. სასწავლო გეგმა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტი), მოიცავს 152 კვირას, 6000 საათს და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, საუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით 40%, ხოლო 60% დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის.

კრედიტების განაწილების პრინციპი:

130 კრედიტი – ძირითადი სპეციალობა: 120 კრედიტი მაპროფილებელი სასწავლო კურსები + 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი = 130
60 კრედიტი – დამატებითი სპეციალობა ან სხვა სასწავლო კომპონენტები
საფაკულტეტო სასწავლო კურსები – 35 კრედიტი
თავისუფალი კრედიტები – 15 კრედიტი

სპეციალობის არჩევითი მოდულების კურსები გათვალისწინებულია მე-3 სემესტრიდან მე-8 სემესტრის ჩათვლით, თუმცა მე-3 და მე-4 სემესტრებში სტუდენტებს შეუძლიათ მხოლოდ 2-3 არჩევითი კურსის აღება.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / **მიმართულება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **საერთაშორისო ურთიერთობები**

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: ზ. დავითაშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 25.06.2011 ოქმი #4

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება: აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილება N 137/2015, 28 დეკემბერი 2015

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	5	30	0	37	10+10	35	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ.ჯავახიშვილი, ლ.სურმანიძე, ლ.წულაძე, თ.აბაშიძე, შ.თურქიაშვილი, ი.ჟვანია, ხ. მარწყვიშვილი,

												მ.კაკაჩია, ე.ფირცხალავა
	ინგლისური ენა 1[1]	5	30	30					წინაპირობის გარეშე	✓		
	ინგლისური ენა 2	5	30	30							✓	
	სტატისტიკა 1	5	30	30	40	10	13	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ო. ღლონტი, ბ. დოჭვირი ტყეშელაშვილი მ. კეკელია
საფაკულტეტო (საბაზო) არჩევითი კურსები (მინიმუმ 1 საგანი)												
	ანთროპოლოგია	5	30	0	35	20	38	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ. მშვენიერაძე
	გამოყენებითი ეკონომიკა	5	30	0	78	5	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯ. ჯანჯღავა
	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	60	10+2	20	3	წინაპირობის გარეშე		✓	გ. მაღრაძე
	აკადემიური წერა	5	0	30	52	4+16	20	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ხ. მარწყვშვილი თ. უკლება მ. აბრამიშვილი მ. შენგელია
	ლოგიკა	5	30	0	51	2+10	15	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ. თომაშვლი

[1]შენიშვნა:საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიცწარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით.

	ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30	0	45	23	20	2	წინაპირობისგარეშე	✓	✓	ზ.დავითაშვილი კ.შუბითიძე
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტებს ევალებათ 4, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსის გავლა. ეს უკანასნელი მათ ეთველბათ მეცნიერების მაპროფილებელ სასწავლო კრედიტებში)												
	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	57	20	15	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	შ. თურქიაშვილი ზ. ტატანაშვილი გ.წოწკოლაური
	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი /შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში/	5	30	15	61	6	10	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი.სალუქვაძე თ. დოლბაია ბ. წერეთელი გ. კვინიკაძე
	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ.მაცაბერიძე ს. დუნდუა ზ.აბაშიძე კ.კაკაჩია
	სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	65	15	12	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ა. ბერძენიშვილი ი.კაჭკაჭიშვილი ნ. ამონაშვილი კ.ქეცბაია შ. თურქიაშვილი მ. ბურძენიძე
	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თ.თურმანიძე; ფ.ასანიშვილი
	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	63	8	6	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. წერეთელი მ.შამილიშვილი

												თ. ჯოლოგუა
საერთაშორისო ურთიერთობების მაპროფილებელი სასწავლო კურიკულუმი (130 კრედიტი): საერთაშორისო ურთიერთობების სავალდებულო სასწავლო კურსები – 100 კრედიტი (ECTS) საერთაშორისო ურთიერთობების არჩევითი სასწავლო კურსები – 20 კრედიტი (ECTS) საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი (ECTS)												
	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	30	15	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ს. კაპანაძე
	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	5	30	30	41	12	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში		✓	ს. პეტრიაშვილი
	საერთაშორისო ურთიერათობების შესწავლის საფუძვლები	5	30	15	51	17	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. მაღლაკელიძე ქ.ჭუმბაძე
	ინგლისური ენა 3,4	10	30	30	41	12	9	2	ინგლისური ენა 1,2	✓	✓	ნ. ტაბეშაძე ი. სლონიმეროვი
	ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანი)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	თ. პაპასკირი
	შესავალი ეკონომიკაში	5	15	15	70	14	9	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	ლ.ნატროშვილი
	შესავალი ევროპათმცოდნეობაში	5	15	15	71	12	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 1,2	✓	✓	გ. ჭელიძე
	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	5	30	30	41	12	9	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	ზ. დავითაშვილი
	საერთაშორისო სამართალი	5	15	15	74	10	9	2	შესავალი საერთაშორისო	✓	✓	ქ. ხუციშვილი

									ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 1,2			
	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	5	30	15	42	12	8	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	რ. შუბლაძე
	საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი წყაროები	5	30	15	40	14	24	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	ქ. მუხიგული
	ინგლისური ენის სპეციალური კურსი 5,6	10	30	15	58	10	9	ვ ბ3	ინგლისური ენა 1,2,3,4	✓	✓	ნ. ტაბეშაძე ი.სლონიმეროვი
	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5	15	15	55	14	24	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓	✓	თ.თურმანიძე ე. აკობია
	მეორე უცხო ენა 1,2,3,4	20	30	30	42	12	8	2		✓	✓	ენების ცენტრის პედაგოგი
	საბაკალავრო სემინარი	5	15	15	73	10	3	9	კურსი იკითხება მეოთხე წელს, იმ სემესტრში, როდესაც იწერება საბაკალავრო ნაშრომი		✓	ს. კაპანაძე
სპეციალობის არჩევითი კურსები : 20 სტუდენტი ირჩევს ოთხ სასწავლო კურსს ქვემოთ წარმოდგენილი თემატური მოდულებიდან ნებისმიერი წესით (ოთხივე სასწავლო კურსის ერთი და იგივე მოდულიდან არჩევა სავალდებულო არ არის)												
I მოდული: საერთაშორისო ურთიერერთობების პოლიტიკური ეკონომიკა												

	საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკონომიკა	5	15	15	57	12	23	6	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები	✓		ნ. გოგოლაძე
	მიკროეკონომიკა	5	15	15	65	14	14	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; შესავალი ეკონომიკაში			ლ. ნატროშვილი
	მაკროეკონომიკა	5	15	15	65	14	14	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; შესავალი ეკონომიკაში; მიკროეკონომიკა		✓	ლ. ნატროშვილი
	საერთაშორისო ეკონომიკა	5	15	15	57	12	24	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები		✓	ნ. გოგოლაძე
	ენერგეტიკული უსაფრთხოება	5	30	15	42	12	24	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები		✓	ზ.დავითაშვილი კ. შუბითიძე
	გეოეკონომიკა	5	30	15	51	14	12	3	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი		✓	გ. კვინიკაძე
II მოდული: ევროპათმცოდნეობა												
	ევროპული ინტეგრაციის ისტორია	5	15	15	50	15	28	2	შესავალი ევროპათმცოდნეობაში შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 3,4	✓		ლ. მახაშვილი

	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	78	5	9	3	შესავალი ევროპათმცოდნეობაში შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 3,4	✓		ნ. სამხარაძე
	ევროკავშირის ინსტიტუტები	5	15	15	75	8	9	3	შესავალი ევროპათმცოდნეობაში შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 3,4	✓		ლ. მახაშვილი
	ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებები	5	30	30	47	6	9	3	შესავალი ევროპათმცოდნეობაში შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 3,4		✓	დ. ჭოჭუა
	ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა	5	15	15	78	5	9	3	შესავალი ევროპათმცოდნეობაში შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 3,4		✓	ნ. სამხარაძე
III მოდული: საერთაშორისო პოლიტიკა და უსაფრთხოება												
	საერთაშორისო ტერორიზმი	5	30	30	47	6	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓		დ. ჭოჭუა
	იდეოლოგიების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	15	15	47	6	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓	✓	ე. ხოშტარია
	საერთაშორისო უსაფრთხოება	5	30	15	32	6	9	3	შესავალი საერთაშორისო	✓		თ. თურმანიძე

									ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 1,2,3,4			
	XX საუკუნის დიპლომატია	5	15	15	47	6	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;		✓	ს. პეტრიაშვილი
	ნაციონალიზმის თეორია და ისტორია	5	15	15	71	12	9	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓		ზ. დავითაშვილი
	საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების თეორიები	5	15	15	71	12	9	2	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;		✓	თ. გიუაშვილი
	საერთაშორისო ორგანიზაციები	5	30	15	60	8	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓		ფ. ასანიშვილი
	საერთაშორისო კონფლიქტები:ქეისები	5	15	15	60	8	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 3,4	✓		ნ. სამხარაძე
	ომების თეორია და ისტორია	5	30	30	32	6	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓		ს. პეტრიაშვილი
	კავკასიის კონფლიქტები	5	15	15	47	6	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;		✓	დ. მაცაბერიძე
	საერთაშორისო განვითარება: ისტორია, პრობლემები და თანამედროვე ტენდენციები	5	15	15	47	6	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓		შ. ლორთქიფანიძე

									ინგლისური ენა 1,2,3,4			
	ომის ტრანსფორმაცია და ჰიბრიდული კონფლიქტები. (სამხედრო კონფლიქტები 1945 წლის შემდეგ)	5	15	15	47	6	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 1,2,3,4		✓	გ. ყალიჩავა
	დაზვერვა, კონტრდაზვერვა და ეროვნული უსაფრთხოება	5	15	15	47	6	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 1,2,3,4		✓	ნ. ხატიაშვილი
IV მოდული: რეგიონალისტიკა და საგარეო პოლიტიკა												
	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	5	15	15	75	8	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;		✓	გ. ბადრიძე
	პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური პრობლემები	5	15	15	72	8	12	3	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები, ინგლისური ენა 3,4	✓		მ. კომახია
	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	79	4	9	3	საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში		✓	ქ. ჭუმბაძე
	გერმანიის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;		✓	ნ. სამხარაძე
	თურქეთის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო	✓		ზ. მჭედლიშვილი

									ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;			
	ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓		გ. ბადრიძე
	საბჭოთა კავშირისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ისტორია	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;		✓	გ. ბოლოთაშვილი
	განვითარებადი სამყაროს საეთაშორისო ურთიერთობები	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;		✓	ნ. გოგოლაძე
	ისლამური სამყაროს პოლიტიკა	5	30	15	63	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;		✓	ფ. ასანიშვილი
	რეგიონალიზმი საერთაშორისო პოლიტიკაში	5	30	30	48	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓		ს. პეტრიაშვილი
	ა.შ.შ–ის საგარეო პოლიტიკა	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები, ინგლისური ენა 1,2,3,4		✓	თ. თურმანიძე
	განვითარებადი ქვეყნების საჯარო პოლიტიკა	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები;	✓		ა. დვალი
	სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ისტორიული და პოლიტიკური		✓	ზ.დავითაშვილი

									გეოგრაფია			
	ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა: ევოლუცია, გამოწვევები და პერსპექტივები თანამედროვე მსოფლიოში	5	15	15	78	5	9	3	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები; ინგლისური ენა 1,2,3,4	✓		ს. ალავერდაშვილი
	საბაკალავრო ნაშრომი	10									✓	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————
ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————
თარიღი ——————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი